ცნობის ფურცელი

№ 1914 | სამშაბათი, 3 სექტემბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1914

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ სექტემბრიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **2** მან. და **60** კაპ,

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—6)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. ა. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. ბედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ბ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

მ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. მ. სობოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაძისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ფოთის საბუღალტერიო კურსები

ა. კ. გოგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (6. 20—19)

1 ენკენისთვიდან «ქ. ოზურგეთში» გაიხსნა **ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიული კურსით.** თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტაძის სახლში. (6. 10—2).

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 6—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

ბედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—2)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. საზოგადოება და გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ პოლკოვნიკის სენ-რემის საქმეზე.

სენ-რემიმ არ შეასრულა თავისი უფროსის, გენერალ ფრატერის, ბრძანება და შემწეობა არ აღმოუჩინა მოხელეებს ბერების სკოლის დახურვის დროს. ამის გულისათვის ურჩი პოლკოვნიკი სამსახურიდან გადააყენეს და სამხედრო სამართალს მისცეს. სენ-რემის ორი დანაშაული ჰბრალდებოდა: ერთი ის, რომ სამოქალაქო მოხელეების მოთხოვნა არ შეასრულა და მეორე კიდევ ის, რომ თავისს უფროსს ურჩობა გაუწია.

საქმის გარჩევის დროს ქალაქ ნანტში სენ-რემის უთქვამს: „ორ წყალ შუა ვიყავი: ან ჩემი უფროსის ბრძანება უნდა შემესრულებინა, ან არა და ჩემი სინიდისის თანახმად მოვქცეულიყავიო. წინადვე ვიცოდი, რომ უარის თქმა სასამართლოში მომიყვანდა და დიდს განსაცდელში ჩამაგდებდა. მაგრამ ისიც კარგად მახსოვდა, რომ ამ სასამართლოს გარდა, მოვალე ვარ პასუხი ვაგო საიქიოსაც, ღვთის სამართლის წინაშე“.

პოლკოვნიკის უფროსმა, გენერალ ფრატერმაც, ბრალდებულის სასარგებლოდ ილაპარაკა; გენერალმა გამოაცხადა სხვათა შორის, რომ პოლკოვნიკს სენ-რემის პოლიტიკური დემონსტრაციის მოხდენა გუნებაშიაც არა ჰქონია. იმისი სარწმუნოებრივი რწმენა იყო შელახული მთავრობის განკარგულებით და მარტო ამიტომ გამოაცხადა უარიო.

ბრალმდებელი, პოლკოვნიკი ლემუანი, ამტკიცებდა, რომ პოლკოვნიკმა სენ-რემიმ დისციპლინა დაარღვია, ამ დისციპლინას კი ყველა ერთნაირად უნდა ემორჩილებოდეს, ამიტომ პოლკოვნიკიც უსათუოდ უნდა დაისაჯოსო.

ბრალდებულის დამცველმა შეაქო სენ-რემის საქციელი და ამტკიცებდა, რომ პოლკოვნიკს სრულებით არ გაუწევია ურჩობა თავისის უფროსისათვისაო, მარტო პრეფექტის განკარგულების ასრულებაზე განაცხადა უარიო; თანაც ეს ისეთი განკარგულება იყო, რომ მხოლოდ ღმერთმა უწყის, კანონიერი იყო, თუ არაო. დამცველმა ბევრი მაგალითები მოსთვალა ისტორიიდან და ამტკიცებდა, რომ ჩვენის დროის ჯარის-კაციც მოქალაქეა და სრულებითაც არაა მოვალე, რომ ბრმა-ყრუდ აასრულოს ყოველი ბრძანებაო: ნამდვილი, ჭეშმარიტი დისციპლინა თხოულობს, რომ ჯარის-კაცმა შეგნებულად შეასრულოს თავისი უფროსების განკარგულებაო. ბოლოს დამცველმა ასე დაასრულა ლაპარაკი: მტკიცე იმედი მაქვს, ბრალდებულს ისევ თავის ძველ ადგილს დაუბრუნებენ პოლკში, რომ იქნება როდისმე გაუძღვეს ამ პოლკს ჩვენის მტრების ჯავრის ამოსაყრელადაო.

სამხედრო სასამართლომ ექვსი ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ პოლკოვნიკს სენ-რემის მარტო ერთი დღით დაპატიმრება მიუსაჯა, რადგანაც სასამართლოს აზრით ბრალდებულს სამხედრო დისციპლინა არ დაურღვევია, მარტო სამოქალაქო მოხელეების უფროსების განკარგულება არ შეუსრულებიაო.

სასამართლოს განაჩენს დამსწრე რეაქციონერები ისე გაუხარებია, რომ ტაშის კვრა აუტეხნიათ.

ამ განაჩენმა ყველა გაზეთები აალაპარაკა. კლერიკალური, ნაციონალური და საზოგადოდ ყველა რეაქციონური გაზეთები სიხარულისაგან ცას მიეწივნენ და თანაც მკაცრად უკიჟინებენ და ნიშნს უგებენ მთავრობას.

რესპუბლიკელების გაზეთები განაჩენსაც სწუნობენ, მაგრამ უფრო იმას აქცევენ ყურადღებას, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ლმობიერ განაჩენსაო.

„მატენ“-ი სწერს: „ამას იქით, როცა სოციალისტ ჯარის-კაცებს გაფიცულ მუშების წინააღმდეგ გაჰგზავნიან, სრული უფლება ექნებათ თავიანთ უფროსების ბრძანება არ შეასრულონ: ჩვენი სინიდისის წინააღმდეგ ვერ მოვიქცევითო, იტყვიან ისინიც. რასაკვირველია, როცა ამ ჯარის კაცებს სამართალში მისცემენ, სამხედრო სასამართლომ ნანტის სასამართლოს მაგალითით ერთი დღით დაპატიმრება უნდა მიუსაჯოს.

დაახლოვებით ამასვე ამბობს სოციალისტური გაზეთი „პტი რესპუბლიკ“-იც.

„ტან“-ი სწერს: „სამხედრო სასამართლომ მეტად მცირე, თითქმის სასაცილო სასჯელი მიუსაჯა სენ-რემის. ეს განაჩენი ხეირს არ დააყრის არც სამხედრო დისციპლინას, არც ჯარს. რეაქციონური და ნაციონალისტური გაზეთები კი დიდს სიხარულს მიეცნენ. ეს სიხარული უაზრო სიხარულია: სამხედრო წესიერების დედა ბოძს—დისციპლინას—ცუდი საქმე დაჰმართეს, თითქმის მთლად შეარყიეს. კონსერვატორები თავიანთის ხელითვე ანგრევენ თავიანთვე მაგარ ბურჯსა და ფარს—დისციპლინას. ბერების სკოლების დახურვა მალე დასრულდება. ჯარს უფრო ხშირად გაფიცულ მუშებთან აქვს ხოლმე საქმე. რა პასუხი უნდა გასცეთ ჯარის

ფელეტონი

—

წერილი მიუნხენიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

მიუნხენი.—მუზეუმები და მხატვარნი.—ბავარიის მეფეთა მზრუნველობა მხატვრობისათვის.—ლანდტაგის დეპუტატნი და „შავების“ მოქმედება.—სოციალისტთა მიტინგი.—კლერიკალთა ჯიუტობა.—ვილჰელმის გაცრუებული იმედი.—ახალი კანონი.

ვინც ჟურნალ-გაზეთობას თვალ-ყურს ადევნებს, იმას ეცოდინება ბავარიის ლანდტაგში მომხდარი ამბავი, რამაც დაუსრულებელი პოლემიკა გამოიწვია არამც თუ მარტო გერმანულ ჟურნალ-გაზეთებში, არამედ მთელ საზღვარ-გარეთელ პრესაშიაც-კი.

რადგანაც ეს ინციდენტი მხატვრობას ეხება (ამ მხრით მიუნხენი გერმანიის ყველა ქალაქებზე წინა სდგას), არ იქნება ურიგო ორიოდე სიტყვა ქ. მიუნხენზე ვსთქვა.

ვინ არ იცის, რომ მიუნხენი განთქმულია მთელ დედა-მიწაზე სამხატვრო მუზეუმებით, შესანიშნავის სურათებითა და თვით მხატვრებითაც. ბუნების და ქალაქის გარეგან სიმშვენიერესთან ერთად მიუნხენის სიმდიდრეს სწორედ ეს მუზეუმები შეადგენენ. ამათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი სურათების ორი უზარმაზარი გალერეიაა.

ვისი სურათები გნებავთ, იქ არ იყოს! დიდებულ რაფაელისა და მიქელ-ანჯელოს სურათებთან ერთად აქ შეჰხვდებით ფლანდრიელ რუბენსის სურათებს, ესპანელ მურილიოსისას, ვან-დიკისას, ლემბახისას, კაულბახისას და მრავალ სხვისას. თქვენს ალტაცებას საზღვარი არა აქვს, როდესაც მისჩერებიხართ ადამიანის ნიჭისა და ფანტაზიის ამდენ საუცხოვო ნაყოფს.

რამდენადაც ეს ორი გალერეია დიდია, იმდენად პატარა და კოხტაა მესამე, რომელიც გერმანიის იმპერატორის კუთვნილებას შეადგენს და რომელსაც სახელად „შაკ-გალერეია“ ჰქვიან. ბარონ შაკი დიდი მცოდნე და მფარველი იყო მხატვრობისა—მთელი თავისი სიცოცხლე და ქონება იმას შესწირა და დიდი განძიც დასტოვა. მისი გალერეია შეიცავს სულ სამას ორმოც-და-ათ სურათს, რომელთა შორისაც ბევრი გამოჩენილ მხატვრის ნაწარმოებია. შაკი შთამომავლობით პრუსიელი იყო და ამიტომაც თავისი ძვირფასი გალერეია პრუსიის მეფეს უანდერძა. რა თქმა უნდა, ამ საქმეში მნიშვნელობა იმ ორდენებსა და ვარსკვლავებსაცა ჰქონდა რომელიც პრუსიის მეფემ ბარონ შაკს უბოძა.

მეოთხე მუზეუმი, „მაქსიმილიანეუმი“ (ეს უზარმაზარი შენობა მაქსიმილიან დიდის აშენებულია, ამიტომ იმის სახელს ატარებს) უფრო ღირიბია გამოჩენილ მხატვართა ნაწარმოებით; სამაგიეროდ ადამიანს აოცებს იქ გამოფენილ სურათების სიდიდე. ამას გარდა, კედლებზე დახატულია თითქმის ყველა გენიოსების სურათი. იმათ შორის საუცხოვოა ნაპოლეონის სურათი. ერთის მხრით უხატია ფრიდრიხ დიდი, ხოლო მეორეს—სუვოროვი.

მიუნხენის არა ნაკლებს სიმდიდრესა და დიდებას შეადგენს სამხატვრო აკადემია, რომლის ზღუდეთა შორის ვითარდებიან და იწვრთნებიან საუკეთესო მხატვრები. ვინ გინდათ ამ აკადემიაში არ იყოს: ფრანგი, ინგლისელი, ამერიკელი, რუსი, იაპონელი, ჩინელი, ჰუნგრელი... ნიჭიერი მხატვრებიც არ აკლია მიუნხენს. აქ არიან შტუკი, ლემბახი, კაულბახი და სხვანი. ამათ შორის უფრო განთქმულია ლემბახი, რომელიც ახალგაზდობაში უბრალო მუშად იყო (კედლებს ლესავდა და ჰღებავდა), დღეს კი გამოჩენილი მხატვრობა უკავია.

ზაფხულობით მიუნხენს ერთი-ორად ემატება სიცოცხლე. ამ დროს ქალაქი სავსეა საზღვარ-გარეთიდან ჩამოსულ ხალხით. ქუჩასა, მუზეუმებსა, თეატრებში, ყველგან უცხოელს შეჰხვდებით, უცხო ენებზე ლაპარაკს გაიგონებთ. ჩუმი და წყნარი მიუნხენი ილვიძებს ზაფხულობით; სასტუმროებსაც ხომ ყველიერი და ხსნილი ზაფხულში უდგებათ. ხშირად მგზავრი სასტუმროდან სასტუმროში გადადის, ისეა ხოლმე ხალხით სავსე.

იმ თავითვე ბავარიის მეფეები ყოველ ღონესა ჰხმარობდნენ, რომ თავიანთი სატახტო ქალაქი გაემშვენიერებინათ საუცხოვო შენობებით და მუზეუმებით. მხატვრობის დიდმფარველად ითვლება დღევანდელი პრინცი—რეგენტი ლუიტპოლდი, რომელიც ბიძად მოჰხვდება ბავარიის მეფეს ოტტოს (ეს მეფე სულით ავადმყოფია და ამიტომ სამეფოს იმის ბიძა განაგებს). იგი დიდ-ფულსა ჰხარჯავს სურათების შესაძენად, ამასთან აუარებელი სტიპენდიანტიცა ჰყავს. წელიწადში ერთხელ, ზაფხულობით, მისივე ინიციატივით, იმართება მიუნხენში გამოფენა, სადაც

კაცებს, როცა ჯარის-კაცები უარს გამოაცხადებენ და რომელსამე ქალაქში, სადაც არეულობა ასტუდება, წესიერების აღდგენას არ მოინდომებენ. ისიც გაიხსენეთ, რომ ჯარის-კაცების სამსახური ვალდებულია და არა ნებაყოფლობითი, როგორიცაა ოფიცრებისა. განა ჯარის-კაცები კი ვერ მოახერხებენ იმის თქმას, რომ სინიდისის წინააღმდეგ ვერ მოვიქცევითო. ჩვენი კონსერვატორები თავით ფეხებამდე მთლად მილიტარისტული აზრებით არიან გამსჭვალულნი, მაგრამ თითონვე, რამდენიც კი შეუძლიანთ, სცდილობენ, ჩვენი ჯარი ჯარად აღარ გამოდგეს“.

„ლანტერნ“-ი ამბობს: მაშ, სჩანს, ორნაირი დისციპლინა ყოფილა: უფროსებისათვის სხვა დისციპლინა ჯარის-კაცებისათვის კიდევ სულ სხვა. მცირე კაცებს ეს დისციპლინა სასტიკადა და უმოწყალოდ სჯის—დიდრონ გავლენიან კაცებს კი რაღაცა სასაცილო სასჯელებს უნიშნავს. ჯარის-კაცს სიკვდილითა სჯის, ან სამხედრო სატუსაღო როტებში სტანჯავს სასიკვდილოდა, ოფიცერს კი ერთი დღით აპატიმრებს მშვენიერის თეთრის ფარდებით მორთულ ოთახში. თანაც კარებთან დარაჯსაც აახლებს სამხედრო პატივის მისაცემად.

„რადიკალ“-ი სწერს: „ურიცხვი საბუთი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ სამხედრო სამართალი და სამხედრო სასამართლოები უსათუოდ მოისპოს. მაგრამ ეს საბუთიც რომ არ ყოფილიყო, მარტო სენრემის საქმის თაობაზე დადგენილი განაჩენიც კმარა, რომ სამხედრო სასამართლოების გაუქმება მოვითხოვოთ. ჯარი, სწორედ რაც უნდა იმას სჩადის. მოიგუნებებს, ხომ აასრულებს მთავრობის ბრძანებას, თუ არა და არა. მთავრობა ნამდვილად სასაცილოდ აიგდო ჯარმა. ამაზე უარესს ამბებსაც მოვესწრობით, თუ საქმეს არა ვუშველეთ რა. ამ სენის განსაკურნებლად ერთად-ერთი წამალი გამოდგება. სამხედრო სამართალი ჯარში დისციპლინას არღვევს; ამიტომ თუ გვინდა, რომ მთავრობისა და კანონის სახელი და ძალა აღვადგინოთ, სამხედრო სასამართლოები უსათუოდ უნდა მოვსპოთ“.

საზოგადოდ რადიაკლური გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ სასამართლომ მთავრობის ჯიბრზე გაამართლა სენ-რემიო. ამიტომ ეს გაზეთები თხოულობენ, რომ მთავრობამ სენ-რემი სამსახურიდან დაითხოვოს და ეცადოს, რომ ჯარში კლერიკალიზმი დათრგუნოს.

✦ სარწმუნოების მინისტრს 13 მღვდლისათვის ჯამაგირი მოუსპია. როცა კონგრეგაციების სკოლებს ჰხურავდნენ, ეს მღვდლები თურმე მთავრობის წინააღმდეგობას ურჩევდნენ ხალხსა.

იტალია. ამ ჟამად იტალიელი მუშების დასის კონგრესია გამართული. იტალიური გაზეთები იუწყებიან, რომ ამ კონგრესზე დასასწრებლად 800 დელეგატზე მეტი მისულა. იტალიის საზოგადოება დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს ამ კონგრესს, რადგანაც ამ კონგრესმა უნდა გამოარკვიოს, თუ რა გზას დაადგეს მუშების პარტია და რა ნაირად მოიქცეს პარლამენტშიო. როგორც სხვა ქვეყნებში, იტალიაშიაც ორი დასია მუშების პარტიაში. ტურატის დასი იმ აზრისაა, რომ პარლამენტში მუშების პარტიამ ლიბერალებს და რადიკალებს უნდა დაუჭიროს მხარიო; პროფესორ ფერის დასი კი უფრო შეურიგებელია, და თხოულობს, რომ მუშების პარტიამ ყოველი კავშირი შესწყვიტოს ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან და ცალკე იმოქმედოსო. ეხლანდელ კონგრესის დროს გადასწყდება, თუ რომელი დასი უფრო ძლიერია. თუ ვინიცობაა, ფერრის დასმა გაიმარჯვა, მაშინ ცანარდელის სამინისტროს სოციალისტების დახმარება მოაკლდება; მაგრამ რომში დარწმუნებულნი არიან, რომ ტურატის დასი გაიმარჯვებს და ამიტომ მთავრობის დასსაც სოციალისტების დახმარება არ მოაკლდებაო.

ახალი ამბავი

✦ კვირას, 1 სექტემბერს, საღამოს მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის **მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი**, რომელსაც ტფილისის სადგურზე მიეგებნენ გუბერნატორი, კომენდანტი, ქალაქის მოურავის მოადგილე და სხვანი.

✦ გუშინ, 2 სექტემბერს, კავკასიის მთავარ მართებელმა დაათვალიერა ტფილისის გარშემო **სააღლუმოდ დაბანაკებული ჯარები**.

✦ **სპარსეთის შაჰი** 5 სექტემბერს კურსკიდან წამოვა კავკასიისაკენ და 8 სექტემბერს ბაქო-ბალაჯარის გზით ბაქოში ჩავა.

✦ ხვალ, 4 სექტემბერს, ბათუმში დაიწყებს მოქმედებას წესიერების **გაძლიერებულ დაცვის დებულება**.

✦ გუშინ-ღამ ცეცხლი გაუჩნდა და თითქმის სულ **გადაიწვა ტფილისის სამეტეოროლოგიო ობსერვატორია**, რომელიც მიხეილის პროსპექტზეა საიუნკრო სასწავლებლისა და მოედნის გვერდით. ეს ობსერვატორია შესდგება რამდენისამე განყოფილებისაგან; წინა ფასადი (მიხეილის პროსპექტზე) უჭირავს დირექტორისა, მის თანაშემწის და მსახურთა სადგომებს; შემდეგ, ბაღში, მოთავსებულია სამეტეოროლოგიო სადგური, სამაგნიტო სადგური და სხვა. ცეცხლი გაუჩნდა სამაგნიტო სადგურს, გადავიდა სამეტეოლოგიო სადგურზე და ორთავენი დაიწვა. ცეცხლის მქრობელ რაზმისა და ჯარების მეცადინეობით, ცეცხლი სადგომებზე აღარ გადასულა. გარდა ხსენებულ სადგურებისა, ცეცხლი წაეკიდა არხივის განყოფილებას და ქაღალდები გააფუჭა. ზარალი ძალიან დიდია. სადგურების მოქმედება, რასაკვირველია, შეჩერდა, რადგან ბევრი ინსტრუმენტი დაიწვა და გაფუჭდა. ცეცხლი გაჩნდა ნაშუაღამევის მესამე საათზე და დილის მერვე საათზე ჩააქრეს. გამოძიება სწარმოებს.

✦ კვირას, 1 სექტემბერს, საქართველოს ექსარხოსმა **აკურთხა საძირკველი** ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალ შენობისა ვერაზე. პარაკლისის შემდეგ სემინარიის რექტორმა სიტყვა წარმოსთქვა. დაესწრნენ: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი ზავადსკი, ოლქის სკოლების ინსპექტორი ლაპატინსკი, ტფილისის ვაჟთა გიმნაზიების დირექტორნი, სასულიერო სემინარიის მასწავლებელ-აღმზრდელნი მოსწავლეებითურთ და სხვანი.

✦ ნაძალადევის ეკლესიასთან დაარსებული **ქალთა საკვირაო სკოლა** ამ თვის 8 რიცხვიდან შეუდგება თავის საქმეს. მთავრობას ნება დაურთავს ამ სკოლაში სახალხო საკითხავებიც გაიმართოს, როგორც რუსულსა, ისე ქართულს ენაზედაც. ამ სკოლის გამგე მღვდელი ვლ. გურგენიძე აცხადებს, რომ ვისაც სკოლაში და სახალხო საკითხავებში მონაწილეობის მიღება ჰსურს, უნდა 8 სექტემბრამდე იმას მიჰმართოს, რომ მერე სკოლის საბჭოს წარუდგინოს მსურველთა წინადადება

✦ 8 სექტემბერს ჩუღურეთის ვაჟთა **საკვირაო სკოლაში** მეცადინეობა დაიწყება.

✦ რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილება აცხადებს, რომ ამ თვის 15-დან ქალაქის **ხელოსანთა ოსტატებისა და თვით ხელოსნებისათვის** გაიმართება საკვირაო და საღამობით ხაზვის და ხატვის კლასები. ამ კლასებში მოსიარულეთ უნდა იცოდნენ რუსულ ენაზე წერა-კითხვა და ნუმერაცია. სწავლება წელიწად ნახევარი გაგრძელდება. თვეში მანეთ-ნახევარია დაწესებული და სამაგიეროდ მოსწავლეთ მუქთად მიეცემა ქაღალდი, ყარანდაში, სამხატვრო და სახაზავი მასალა. მსურველმა უნდა მიჰმართოს რკინის გზის სახელოსნოს უფროსს. კლასები რკინის გზის სასწავლებელთანაა მოთავსებული დიდუბეში. გამოცდა 8 სექტემბრის შემდეგ დაიწყება.

✦ ოთხშაბათს, 4 სექტემბერს, **სახალხო თეატრში** ავჭალის ქუჩაზე ქართულის წარმოდგენების სექცია გამართავს გამოსაცდელ წარმოდგენებს იმათთვის, ვინც ამ თეატრის წარმოდგენებში ახლად მონაწილეობის მიღებას აპირებს. პირველ წარმოდგენას ქართული სექცია გამართავს რკინის გზის სახელოსნოში 12 სექტემბერს. ითამაშებენ ახლად გარდაცვალებულ ა. ცაგარლის პიესებს და ამასთან გააცნობენ დამსწრეთ განსვენებულ დრამატურგის მოღვაწეობას. ასეთივე წარმოდგენა შემდეგ გაიმართება ავჭალის ქუჩაზე.

✦ კვირას, 1 სექტემბერს, ვეტცელის სასტუმროს დარბაზში კერძო კრება ჰქონდათ **კანდიდატთა სიის შესამუშავებლად** მესამე საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებს. დაესწრო 78 ამომრჩეველი. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ გარდასწყვიტა შეავსოს წინად შედგენილი კანდიდატთა სია. ხმის უმეტესობით, კრებამ კანდიდატთა საბოლოო სიაში შემდეგი პირნი შეიტანა: ა. ს. ბაბოვი, ა. ი. ფლორენსკი, ს. თ. ჰრელაშვილი, ა. პ. ანდრეევი, ი. ე. გამყრელიძე, ნ. მ. ყარამურზა, ი. ი. მეიერი, თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, ს. ი. ვაწაძე, ა. ს. ღულაძე, ი. ფ. თხორჟევსკი, მ. ნ. შარიფოვი, პ. ი. ყოფიანი, ა. ფ. ტიგრანოვი, ნ. ა. ხუდადოვი ნ. ე. არღუთინსკი, მ. ი. ბლეტკინი, ა. ბ. ევანგულოვი, მ. კ. ყოფიანი, ი. გ. ვექილოვი, ი. ზ. ტატიშვილი, ე. დ. გულისაშვილი, ა. ი. კაზაკოვი, ა. ი. მირიანაშვილი, ა. ი. ხატისოვი, ა. ი. ნატროშვილი, ა. ა. ენფენჯიანცი, ი. მ. ხრამელაშვილი, გ. პ. მელიკ-კარაკოზოვი, ს. ხ. მესტიევი, გ. გ. შახბუდაგოვი, ნ. ა. გრიქუროვი, ნ. ხ. ქალანთაროვი, ნ. ს. ესაძე, ბ. გ. ადასაროვი, ო. ზ. ფანიაშვილი და მ. რ. დოლუხანოვი. კომიტეტმა ეს სია ქალაქის გამგეობას უნდა წარუდგინოს 6 სექტემბრამდე. თუმცა 37 კანდიდატი იქმნა ხმის უმეტესობით დასახელებული, მაგრამ გამგეობას წარედგინება მხოლოდ 35 კაცი, აქედან 29-ს ხმოსნად ამოარჩევენ, ხოლო 6 იმათ კანდიდატებად.

✦ „დვორცოვიე ნომრები“-ს პარტიას ყველა უბნისათვის **დაუმზადებია სია მომავალ ხმოსანთა** კანდიდატებისა და ეხლა იმის ცდაშია, რომ თავიანთი კანდიდატები ამორჩეულ იქმნენ მომავალ არჩევნების დროს. ამ პარტიის 1-ლისა და მე-3-ის უბნების სიები ბევრად განირჩევიან იმ სიებისაგან, რომელნიც ამომრჩეველთა კომიტეტებმა შეადგინეს, ხოლო მე-2 უბნის კომიტეტი და ეს პარტია შეთანხმებულან და საერთო სია შეუდგენიათ.

✦ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ 31 აგვისტოს **განიხილა და დაამტკიცა** ქალაქის მიერ წარდგენილი ამ წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. საკრებულოში, სხვათა შორის, იმაზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ ქალაქი ძალიან აგვიანებს ხარჯთ-აღრიცხვის წარდგენას, მაგრამ ქალაქის მოურავის მოადგილემ განუმარტა ამ დაგვიანების მიზეზი და საკრებულომაც საკმარისად იცნო ბ-ნ შესტაკოვის განმარტება.

ამავე დღეს საკრებულომ მოისმინა სენატისთვის მისართმევი ქალაქის საჩივარი შესახებ იმისა, რომ ამას წინად ქალაქის მოურავის მოადგილედ ამორჩეული თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი გუბერნატორმა არ დაამტკიცა იმ მიზეზით, რომ ბ-ნ ჩერქეზიშვილთან ერთად არ წარუდგინა ქალაქმა ამ თანამდებობაზე არჩეული მეორე კანდიდატიც ბ-ნი შესტაკოვი, რომელიც დაამტკიცა კიდეც ბ-ნმა გუბერნატორმა ქალაქის მოურავის მოადგილედ.

საკრებულომ დაადგინა ქალაქის საჩივარი სენატს წარუდგინოს.

✦ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისის ქუჩებისა და მოედნების **საუკეთესო სისტემით მოკირწყვლა**, უკვე შეიმუშავა რიგი ქუჩების მოკირწყვლისა. კომისიის აზრით ქუჩების ერთი ნაწილი უნდა მოიკირწყლოს ოთხკუთხის ქვით, მეორე—ასფალტით და მესამე—რიყის ქვით. აი ის ქუჩები, რომელიც ოთხ-კუთხის ქვითა და ასფალტით უნდა მოიფინოს: ერევნის მოედანი, შუა ბაზარი, სიონის ქუჩა, თათრის მოედანი, შეითან ბაზარი, ვორონცოვის ქუჩა სუმბათაშვილის აბანოებამდე, აბანოს ქუჩა და მოედანი, ირაკლის ქუჩა ექსარხოსის მოედნამდე, პუშკინის ქუჩა ერევნის მოედნიდან სკვერამდე,

ბევრ შესანიშნავის მხატვრის სურათს შეჰხვდებით. სხვათა შორის, დიდ ყურადღებას იქცევს აქ გამოფენილ რუსს მექანდაკის თავ. კ. ტრუბეცკოის სამი ქანდაკება: „ლ. ტოლსტოი გლეხის პერანგში გამოწყობილი უქუდოთ, ცხენზე“, „პეტერბურგელი მემარხილე“ და „დედა-შვილი“. სამივე ქანდაკება ბრინჯაოსია.

გამოფენაზე სურათები თითქმის სუყველა გასასყიდია ხოლმე და დიდ-ფასებშიაც იყიდება. მთელის ქვეყნის საუკეთესო მუზეუმები ჰგზავნიან აქაურ გამოფენაზე ყოველ წელიწადს თავიანთ კაცებს კარგი სურათების შესაძენად, კერძო კაცნიც ბევრს ჰყიდულობენ. არც ბავარიის მთავრობა რჩება უკან და ისიც ყოველ-წელიწადს 100.000 მარკის (47,000 მან.) სურათებს იძენს. წელსაც მთავრობამ, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, განიზრახა თავის წადილის შესრულება და ამისათვის მოსთხოვა ლანტაგს ზემოდ აღნიშნული თანხა, მაგრამ, ყველას გასაოცებლად განსაცვიფრებლად, უარი მიიღო. ვინ წარმოიდგენდა, თუ ლანტაგი უარს განაცხადებდა? ამ ამბავმა საოცრად აალაპარაკა ჟურნალ-გაზეთობა და მთელი მოწინავე საზოგადოება. როგორ მოხდა ესა? რად განაცხადა უარი ბავარიის დეპუტატთა საბჭომ? ეკითხებოდნენ ერთმანეთს ბავარიელნი. მალე მიზეზიც იპოვნეს. „ეს სულ „შავების“ მოქმედებაა, სულ იმათის პოლიტიკის ნაყოფიაო“ გაისმა ხალხსა და ჟურნალ-გაზეთობაში. მკითხველი, ეჭვი არ არის, იტყვის, ვინა ბრძანდებიან ეს „შავები“, ან რად ატარებენ ამნაირ სახელსაო. ამის ასახსნელად, მკითხველო, ცოტა ხანს ლანტაგში უნდა შევიხედოთ.

ბავარიის ლანტაგი შესდგება სულ 159 დეპუტატისაგან. აქედან ნახევარზე მეტი (83) „შავები“ არიან (ან ეგრეთ წოდებული „ცენტრი“). ამ სახელს ეს დასი ატარებს მღვდლების წყალობით, რომელნიც როგორც მოგეხსენებათ, შავებში არიან გამოწყობილნი. სულ ამ დასში 17 მღვდელია, მაგრამ დანარჩენიც იმათის ფეხის ამყოლნი და დამქაშნი არიან.

„შავების» შემდეგ მეორე ადგილი ლიბერალებს უჭირავთ (რიცხვით 44); მესამე „კაბაჩების დასს“ (16); ეს პარტია მიმართულებით კონსერვატორებს ძალიან უახლოვდება; მეოთხე—სოციალისტებს (11); მეხუთე—კონსერვატორებს (4) და მეხუთე ერთად-ერთს დემოკრატს.

როგორც ჰხედავთ, უძლიერესი დასი „შავების“ დასია; არც საკვირველია ბავარიისთვის, როგორც კათოლიკეთა და სწავლა-განათლებით ჩამორჩენილ სამეფოსთვის (მე ამ შემთხვევაში ბავარიას ვადარებ პრუსიას, საქსონიასა და ჰესსენს). სწორედ ამ ორის მიზეზის წყალობაა (კატოლიციზმისა და სწავლა-განათლების მდგომარეობისა), რომ ლანტაგში ნახევარზე მეტი ადგილი მღვდლებსა და იმათ დამქაშებს უჭირავთ.

„გაირყვნა ჩვენი ქვეყანა, გაირყვნა ხელოვნება და იმასთან მხატვრობაცაო, გაიძახოდნენ „შავები“. ეხლანდელი მხატვრები, არა თუ წმიდანებსა და ეკლესიებს არა ჰხატავენ, დასცინიან კიდეც კატოლიციზმს. ამიტომ ამ გვარ მდგომარეობას დახმარება კი არა, უნდა ვებრძოლოთო“. ამას ამბობდნენ „შავები“ ლანტაგში, სწერდნენ თავიანთ გაზეთებში და რაცა სთქვეს, აასრულეს კიდეც: მთავრობას უარი განუცხადეს და ფული არ მისცეს.

მთავრობა ამით სასოწარკვეთილებას არ მიეცა და ერთის კვირის შემდეგ ხელ-მეორეთ მოსთხოვა ლანტაგს ფულის გადადება, ამ ერთ კვირაში მოწინავე პრესსა თითქმის მარტო „შავებზე“ სწერდა. ემუქრებოდნენ მათ და ურჩევდნენ მთავრობის წინადადების შეწყნარებას. კრებებს ხომ კრებებზე ჰმართავდნენ, როგორც სოციალისტები, ისე ლიბერალები. ამ კრებებზე ერთხმად პროტესტსა და ზიზღს უცხადებდნენ „შავებს“. არც „შავები“ იყვნენ გულ-ხელ დაკრეფილნი: თავიანთ პრესაში ღვთის რისხვასა და წაწყმენდას უთვლიდნენ ყველა იმათ, ვინც იმათ მხარეს არ დაიჭერდა. ეკლესიებშიაც-კი სულ მხატვრობის გარყვნაზე ქადაგობდნენ.

უფრო თვალ-საჩინო და შესანიშნავი სოციალისტთა კრება იყო, რომელზედაც ორატორად გამოვიდა ბავარელ სოციალისტთა მოთავე ფოლმარი (დეპუტატი ლანტაგისა და რეიხსტაგისა). ეს გამოჩენილი სოციალისტი უწინ სამხედრო სამსახურში იყო. საფრანგეთთან ომის დროს დაიჭრა კიდეც. რომლისაც მთავრობამ პენსია შეაძლია, ფოლმარმა უარი შეუთვალა.

კრება დანიშნული იყო ერთ უზარმაზარ ლუდხანაში. შვიდ (საღამოზე) საათზე, ხალხმა გამოიტანა ლუდხანიდან გარედ სტოლები და დამწკრივდა. ბევრი უადგილობის გამო იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. კრებაზე სულ უკანასკნელი 6.000 კაცი იქნებოდა. მათ შორის ლიბერალებიც იყვნენ, „შავებიც“ მობრძანდნენ. შესრულდა 8 საათი და ფოლმარიც წამოდგა. გამოუთქმელია ის აღტაცება, რომლითაც ხალხი მიეგება ორატორს; ხუთი წუთი გაისმოდა

იარმუკა, რუსის ქუჩა, ვანქის ტაძრის წინ მოედანი, ნერსესოვის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ვერის დაღმართი ოლგას ქუჩიდან ვერის მოედნამდე და ვერის ხიდიდან აღმართამდე, მოედანი წყნეთის ქუჩის დასაწყისთან, ნიკოლოზის ხიდები და მათ შუა ქუჩა, მიხეილის პროსპექტი ვორონცოვის ძეგლიდან მუშტაიდამდე, ბალის ქუჩა, ელისაბედის ქუჩის ერთი ნაწილი, ვოკზლის ქუჩა, ვიწრო ქუჩა მუშტაიდთან, ვოკზლის მოედანი, სადამოენო ქუჩა, კიროჩნის ქუჩა ავჭალის ქუჩიდან ვერის ხიდამდე, მალაკნების ქუჩა ტფილისის სადგურიდან სახალხო სამკითხველომდე, ავჭალის მოედანი, ავჭალის ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა ავჭალის ქუჩიდან რიყის ქუჩამდე, რიყის ქუჩა სირაჯხანის აღმართამდე და ავლაბრის ხიდებამდე, სარაჯევის ვიწრო ქუჩა, მეჩეთის ქუჩა, ვორონცოვის ქუჩა, მოსტოვოი ქუჩა, მიხეილის ქუჩა ვორონცოვის ძეგლიდან რიყის ქუჩის შესართავამდე, სასახლის ქუჩა, შტაბის მოედანი, მადათოვის ქუჩა ბარიათინსკის ქუჩიდან, სასამართლოს ქუჩა სასამართლოს დაწესებულებათა წინ, ოლგას ქუჩის ერთი ნაწილი სამხედრო ოლქის სასამართლოს წინ და ბარიათინსკის ქუჩა. სხვა ქუჩები რიყის ქვით უნდა მოიკირწყლოს. კომისია უკვე შეუდგა საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას. როგორც ვიცით, ამ საქმისათვის ქალაქის გამგეობას აქვს 600,000 მან., ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან ავანსად მიღებული.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია **უთუოდ გაისინჯოს აბრეშუმის თესლი**, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უცხოეთიდან შემოაქვთ. ამისათვის ცალკე კაცები იქმნებიან დანიშნულნი—კონტროლერები—და ამათი მოვალეობა იქმნება აბრეშუმის თესლის ავ-კარგიანობას თვალი ადევნონ.

სამინისტროს რწმუნებულს კავკასიაში მოსთხოვეს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოწეს-რიგდეს აბრეშუმის თესლის კონტროლი; რამდენი კაცი იქმნება ამ საქმისათვის საჭირო და რამდენ ხარჯს გამოიწვევს საზოგადოდ ამ კონტროლის შემოღება კავკასიაში.

✦ ამ დღეებში გაიხსნება სოფ. მეჯვრისხევში (გორის მაზრა) **სასოფლო ქსენონი**, რომლისთვისაც უკვე უქირავნიათ და მოუწყვიათ თავ. ერისთავის სახლი.

✦ სატყეო დეპარტამენტს დაუვალებია კავკასიაში მოსამსახურე სატყეო უწყების მოხელეთათვის **ნიხრი შეადგინონ ყველა იმ მასალისა**, რომელიც სახაზინო ტყიდან გააქვთ კავკასიაში. ეს ბრძანება იმას გამოუწვევია, რომ მცხოვრებლებს ჩივილი დაუწყიათ ამ საქმის უწესრიგობაზე. ნიხრის შედგენის დროს უნდა იხელმძღვანელონ იმ ფასებით, რომელიც კავკასიის ბაზრებშია, ხოლო ამ ფასებიდან უნდა გამოირიცხოს ყოველივე ხარჯი ტყის მასალის მოჭრა-გამოზიდვისა, ბაზარში მიტანისა, იქ შესანახი და სხვ.

✦ სექტემბრის დამლევს ტფილისში მოელიან ფოსტა-ტელეგრაფის უწყების **უფროსის თანაშემწეს** ბ-ნ კოლმიშაევს, რომელიც პეტერბურგიდან ფოსტა-ტელეგრაფის კონტორების სარევიზიოდ წამოსულა.

✦ სატუსაღოთა გამგე-კომიტეტს განუზრახავს **ორთაჭალის სატუსაღოშიაც გაჰმართოს ტუსაღთათვის სახელოსნოები**, სადაც სხვა-და-სხვა ხელოსნობა უნდა ასწავლონ ტუსაღებს, რადგან ამ გვარის შრომით ტუსაღები კეთილ-ნაყოფიერად დროს მოიხმარენ და, მეორეს მხრით, სარგებლობაც კარგი იქმნება ამ შრომითაო.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი „ლექსები და მოთხრობები“, გ. რუხაძისა. წიგნაკი სამ შაურადა ჰღირს.

✦ ცნობილი ვაჭარი (რკინეულობისა) ი. მ. აკოფოვი 1-ლ სექტემბერს ღამით გარდაიცვალა. განსვენებული რამდენიმეჯერ იყო ქალაქის საბჭოს ხმოსნად არჩეული და ტფილისის საკომერციო ბანკის საბჭოს თითქმის მუდმივი წევრი იყო.

✦ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ბათუმის ქალაქის მოურავი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

✦ ტფილისში დაბრუნდა ექიმი ტ. ს. ქოქოძე, რომელიც ახალციხის მაზრას იყო წასული სამსახურის საქმეების გამო.

✦ გუშინღამ დიდ-ვანქის ქუჩაზე ორ ადგილას გაჩნდა ცეცხლი: ხანდაშევის სახლში, სამზარეულოში, და საიპოვის სახლში, ხელოსნის სუტტეს ბინაზე. ორთავე ალაგას ცეცხლი მალე ჩააქრეს, ასე რომ ზარალი მცირეა.

✦ 1 სექტემბერს, ბაზრის ქუჩაზე, ღამის მეთორმეტე საათზე, ზაზიევის სადგომში გლეხმა გრ. დავიდაშვილმა დანით მძიმედ დასჭრა მუშა ოსიტაშვილი. დავიდაშვილი მიიმალა. გამოძიება სწარმოებს.

✦ ტფილისის მაზრაში პრიუტიდან 11 ვერსტის მანძილზე მანგლისში მიმავალ გზაზე პოლიციელებს უნახავთ გვამი მკვდარი ჯარის კაცისა. მკვდრის ტანზე არავითარი ნაძალადობის ნიშანი არ აღმოჩნდა. ჯარის კაცს ჯიბეში 79 კაპეიკი უნახეს.

✦ როგორც გვატყობინებენ ტფილისის მაზრის სოფელ ლიპაში დიფტერიტი გაჩენილა.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის, კანტორასთან არსებულ შემნახველ კასაში წასულ აგვისტოს განმავლობაში შეუტანიათ 51,009 მან. და 25 კაპ., ხოლო გაუცნიათ 23,109 მან. 47 კაპ. სულ 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე შეუნახავთ 451,798 მან. 50 კაპ. და გაუციათ 170,773 მან. 78 კაპ.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 31 აგვისტოს გაღმა მხრის პოლიციის განყოფილების ბოქაულმა ტერ-დავიდოვმა და იმავე განყოფილების უბნის ზედამხედველმა იასონ საყვარელიძემ აღმოაჩინეს რკინის გზით სამგზავრო ყალბი ბილეთების მკეთებლები. კვალი მიიტანეს და გაიგეს ბინა, სადაც ამ ბილეთებს ამზადებდნენ. შევიდა პოლიცია თუ არა, ბილეთების საჭრელი მანქანა და სხვა იარაღები წამსვე მდინარე რიონში გადაჰყარეს, მაგრამ პოლიციამ დაუყოვნებლივ ამოაღებინა ყველაფერი. ამასთანავე სახლი გასჩხრიკეს და დამზადებული ყალბი ბილეთებიც ბლომად იპოვეს. დამნაშავე დააპატიმრეს; გამოძიება მკაცრად ეკიდება საქმეს.

✦ რეალურ სასწავლებლის დირექტორს წინადადება მიუცია იმ ბავშვთა მშობლებისათვის, რომელთაც ეგზამენები დაიჭირეს, მაგრამ, უადგილობისა გამო, მიღებულულნი არ იქმნენ, თუ ხარჯს იკისრებთ—მეორე პარალელ უმცროს მოსამზადებელ კლასს გავხსნითო. ამისათვის საჭირო იქნება 25 მან. სასწავლო ქირა და 25 მან.-ც სახლისა და მოსამსახურის დაქირავებისა და სხვა საჭიროებისათვისო, სულ ხუთ-ხუთი თუმანი.

მშობლებმა დიდის სიხარულით მიიღეს ეს ხარჯები და კიდეც შესდგომიან ამ საქმის განხორციელებას.

✦ ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი ბ ნი კოროლენკო პეტერბურგს გადაუყვანიათ ერთ-ერთ იქაურ გიმნაზიის დირექტორად. ბ-ნი კოროლენკო ამ ჟამად პეტერბურგშია.

რუსეთის ქრონიკა

✦ რუსთა შესანიშნავი მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი სრულიად განიკურნა ავადმყოფობისაგან. 28 აგვისტოს მხცოვან მწერალს 74 წელიწადი შეუსრულდა. ამ ჟამად ტოლსტოი სოფელს იასნაია პოლიანაშია და ისევე მუშაობს, როგორც ახალგაზრდობისას მუშაობდა. მოხუცი დადის ტყეებსა და მინდვრებში, ან შინ სწერს, ან კიდევ ესაუბრება დედა-მიწის სხვა-და-სხვა კუთხიდან მოსულ პატივისმცემელთ. ისე დღე არ გავა, რომ ტოლსტოისთან არავინ იყოს, ამერიკისა, ევროპისა და სხვა კუთხიდან მოსული. წერას ტოლსტოი ხელ-ახლა გულმოდგინედ შეუდგა. უკვე დაუმთავრებია ერთი ეკონომიური წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ადვილ გასაგებად გადმოცემული აქვს ამერიკელ ეკონომისტის ჰენრი ჯორჯის სწავლა-მიწა-წყლის ნაციონალიზაციის შესახებ. წერილის დამთავრების შემდეგ ტოლსტოი შეუდგა იმ მოთხრობის განგრძობას, რომელიც ორის წლის წინად დაიწყო და რომლის შინაარსადაც ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის დრო აქვს აღებული. სიბერე ამ სულით და ხორცით ძლიერ მოხუცს სულ არ ეტყობა თურმე, ისე დაუღალავად შრომობს და მუშაობს მთელი დღე.

✦ დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, რომ უნივერსიტეტებში დაწესებული იქმნა ეგრედ წოდებული საპროფესორო სასამართლოები. უნივერსიტეტისა და სხვა მაღალ სასწავლებლის საბჭო ირჩევს პროფესორთა შორის მოსამართლეებად ხუთ კაცს და ხუთ კანდიდატს. ზოგ სპეციალურ სასწავლებელში შეიძლება ხუთის ნაცვლად სამი კაცი იქმნას არჩეული. არჩეულნი მოსამართლეებად სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა უნდა დაამტკიცოს. სასწავლებლის საბჭომვე უნდა აარჩიოს თავმჯდომარე. განსახილველი საქმეები სასამართლოს რექტორმა (ან დირექტორმა) უნდა გადასცეს. აი რა საქმეები ექვემდებარება ახალს სასამართლოს: 1) სასწავლებელში მოსწავლეთა მიერ წეს-რიგის დარღვევა; 2) შეტაკება მოსწავლეებსა და პროფესორებს შორის, სულ ერთია სადაც უნდა მოხდეს ეს შეტაკება: სასწავლებელში თუ სასწვლებელს გარედ; და 3) ისეთი საქმეები, რომელიც საზოგადო კანონებში წინ-დახედული არ არის, მაგრამ პატიოსნებასა და ზნეობას კი ეწინააღმდეგება. საპროფესორო სასამართლოს შეუძლიან ისეთი საქმეებიც განიხილოს (სტუდენტთა შესახებ), რომელიც საზოგადო სასამართლოს მიერ უკვე განხილულია. სასამართლომ რექტორისაგან მასალის მიღების შემდეგ უნდა გადასწყვიტოს: მისცეს თუ არა სასამართლოში სტუდენტი. სასამართლოს სხდომებს თავმჯდომარე ჰნიშნავს საჭიროებისა და-გვარად. საქმეს სასამართლო სიტყვიერად აწარმოებს და წიგნში მხოლოდ განაჩენი შეაქვს. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა. ჩვენებას ხელს აწერენ როგორც მოწმენი, ისე ბრალდებულნი. სასჯელია დაწესებული იმათთვის, ვინც ცრუ ჩვენებას წარადგენს, ან არა, პატივსადებ მიზეზისა გამო, საქმის გარჩევის დროს არ გამოცხადდება. პასუხის გებისაგან არ არის თავისუფალი ის დამნაშავე სტუდენტიც-კი, რომელიც უნივერსიტეტიდან გასვლას მოისურვებს.

✦ საერო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ნორმალური წესდება საპედაგოგიო მუზეებისა. ეს წესდება სამინისტრომ ოლქის მზრუნველებს დაუგზავნა თავიანთ აზრის გამოსათქმელად.

✦ სენატის განმარტებით, რადგანაც ქალაქებსა და დაბებში მართლ-მადიდებელ ეკლესიათა შეკეთებისა და გამშვენებისათვის და აგრეთვე სამღვდელოთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უნდა იზრუნონ ხოლმე ქალაქის მკვიდრთ, ამიტომ ამ საქმეების განხილვა ქალაქის საბჭოების მოვალეობას შეადგენს.

✦ მთავრობას აზრადა აქვს გადააკეთოს საქალაქო ოთხ-კლასიანი სკოლები. ამის გამო ზოგიერთებს შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ქალთათვისაც დაარსებულ იქმნას ოთხ-კლასიანი სასწავლებლები.

პრესსა

როგორც მკითხველებმა უწყიან, სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათა შესახებ მოლაპარაკება მთელს რუსეთის იმპერიაშია. ზოგიერთა გაზეთმა უკვე აღნიშნა ის განსხვავება, რომელიც ამ საქმეში დაეტყო ადგილობრივ კომიტეტების მუშაობას იქ, სადაც ერობაა და იქ, სადაც იგი არ არის. „კიევის გაზ“-ი სწერს, რომ

> პირველნი საქმეს უფრო ფართოდ აყენებენ და უფრო ვრცლად ეხებიან განსახილველ საგნებს; ისინი პროგრამაში აღნიშნულ საგნებს არა სჯერდებიან და სოფლის ცხოვრების ყოველ მხარეს ეხებიან. სულ სხვანაირად იქცევიან იმ გუბერნიების კომიტეტები, სადაც ერობა არ არის: ამათთვის თავიცა და ბოლოს პროგრამა და იქ ჩამოთვლილი მუხლებია. ეს კომიტეტები ახალს არაფერს არ ამბობენ, ახალ საგანს არ აყენებენ და სოფლის ცხოვრებას სავსებით არ ეხებიან; სასურველად სცნობენ მხოლოდ იმ ზომების განხორციელებას, რომელიც პროგრამაშია ჩამოთვლილი.

გაზეთის აზრით, ასეთი განსხვავება წარმოსდგება იმისაგან, რომ ერთნი მომზადებულნი არიან, საქმეს კარგად იცნობენ, ხოლო მეორენი—არა.

„ვაშას“ ძახილი და ტაშის კვრა. შემდეგ სამაგიეროდ მთელი ხუთი წუთი ეს ამოტელა ხალხი სულ-განაბული ისმენდა იმის ლაპარაკს: ორატორმა კრებას „შავების“ 30 წლის უკულმართი მოქმედების სრული სურათი დაუხატა, ჩამოთვალა ხრიკები, რასაც ეს ვაჟბატონები ჰხმარობენ სწავლა-განათლების შესაფერხებლად; აუხსნა, რა ნაირად იბრძვიან რეფორმების შემოღების წინააღმდეგ და სხვა… თავისი სიტყვა ფოლმარმა ამ სამი სიტყვით დააბოლავა: „გაუმარჯოს მეცნიერებას, შრომასა და ერთობასაო“. კვლავ გაისმა ხანგრძლივი „ვაშას“ ძახილი და ტაშის კვრა. ბოლოს კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „სოციალისტთა დღევანდელი კრება ერთხმად უცხადებს „შავების“ („შავები“ კრების შეწყვეტის დროს ჩუმად გაიპარნენ) მავნე-პოლიტიკას თავის ზიზღსა და პროტესტს“.

მოახლოვდა ის დღეც, როცა მთავრობას მეორედ უნდა ეთხოვა ლანდტაგისთვის 100.000 მარკა. მთავრობასა და საზოგადოებასა იმედი ჰქონდათ, რომ „შავები“ უარს არ იტყოდნენ, მაგრამ არ გაუმართლდათ ეს იმედი: მეორედაც უარი მიიღეს. ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა იმ დღეს ლანდტაგის მახლობლად. სწორედ $1^1/_2$ საათი იყოს, როდესაც ლანდტაგი დაიშალა და დეპუტატები ქუჩაზე გამოვიდნენ. აუარებელი ხალხი ელოდა გადაწყვეტილების გაგებას. პირველად ლანდტაგიდან გამოვიდა სოციალისტების დეპუტატი და აუწყა ხალხს „შავების“ უკულმართობა. რასაკვირველია, ხალხის უკმაყოფილებასა და ყვირილ-ღრიალს დასასრული არა ჰქონდა. „შავები“-კი ამაყად გამოდიოდნენ და ნელის ნაბიჯით მიდიოდნენ ქუჩებში. ზოგს სახარება ეჭირა ხელში, ზოგს კიდევ ხელები გულზე დაკრეფილი ჰქონდა და თავჩაღუნული მიდიოდა.

არ გასულა ამის შემდეგ ხუთი საათიც, რომ ყველა ქუჩასა და კუთხეში გაკრული იყო დეპეშები გერმანიის იმპერატორის და ბავარიის პრინც რეგენტისა. ამ დეპეშების შინაარსი მკითხველს უკვე ეცოდინება. გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი აძაგებდა „შავების“ მოქმედებას და თან თავის ჯიბიდან უთმობდა ბავარიის მთავრობას 100.000 მარკას საუკეთესო სურათების შესაძენად. ამაზე პრინცმა რეგენტმა მადლობა შეუთვალა ვილჰელმს და აცნობა, ერთმა შეძლებულმა გრაფმა უკვე გადმომცა 100.000 მარკა ზემო ხსენებულ საქმისთვისაო. დარჩა ვილჰელმი ჩალა-გამოვლებული. ერთხელ კიდევ იკოჭლა იმისმა გამჭრიახობამ და პოლიტიკამ.

იმის ტელეგრამას ბავარიის პრესამ სულ სხვა თვალით შეჰხედა. კვლავ შეიქნა ჟურნალ-გაზეთებში ალიაქოთი. ეხლა პრესსა „შავების“ ნაცვლად ვილჰელმზე სწერდა და ლაპარაკობდა. ნაციონალისტებმა მომართეს ჭამანჩა, დაჰკრეს ბუკი და ნაღარა და მთავრობას შეატყობინეს, საომრად მოემზადე, რადგანაც პრუსია უეჭველად შემოგვესევაო.

პრუსიის შემოსევაზე კი რა მოგახსენო, მკითხველო, და ეს კი მართალია, რომ ათასის ნიჭით აღსავსე ვილჰელმს: მხატვარს, კომპოზიტორს, ორატორს, მეომარს დიდი ხანია ეჩხირება თვალში ის გარემოება, რომ ბავარია სავსებით არ არის იმის მფლობელობის ქვეშ. ბავარელები კარგად იცნობენ იმას და პატივსაც სცემენ, როგორც იმპერატორს, მაგრამ თანაც არ ივიწყებენ, რომ იმათ თავიანთი მმართველობა ჰყავთ და კანონები აქვთ. ვილჰელმი კარგადა ჰგრძნობს, რომ იგი ბავარელებს არაფრად მოსწონთ, ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობს იმათის გულის მოსაგებად. იფიქრა, სწორედ ეხლა მომეცა მარჯვე შემთხვევაო, მაგრამ არ გასჭრა იმისმა ბედმა.

მიჩუმდნენ გაზეთები. მხოლოდ ათასში ერთხელ იგონებენ „შავების“ დარბაისლობას და ვილჰელმის გამზადებულ საჩუქარს. ლიბერალთა და სოციალისტთა გაზეთები ამ ჟამად სხვა საქმეში არიან გართულნი: ემზადებიან მომავალ არჩევნებისათვის.

სოციალისტებს უნდათ ამომრჩეველთა კანონი შესცვალონ. დღეს მთელ გერმანიაში ყველას, ვინც კი ოც-და-ხუთის წლისაა, უფლება აქვს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. სოციალისტებს უნდათ შესცვალონ ეს კანონი; შემოდგომაზე ლანდტაგში შეაქვთ ახალი კანონი, რომლის ძალითაც ყველას, ვინც კი 21 წლისა შესრულდება, უფლება ექნება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ამ ახალ კანონის შემოღების წინააღმდეგნი არიან ჩრდილოეთ-გერმანიის სოციალისტები, რომელთაც ბებელი ჰმეთაურობთ. ამ საგანზე სოციალისტებს 16 სექტემბერს ექნებათ ლაპარაკი, როდესაც გერმანიის სოციალისტთა წლიური კრება დაიწყება მიუნხენში. კრებაზე იქმნებიან დეპუტატები, როგორც რეიხსტაგისა, ისე ლანდტაგისა. კრების გადაწყვეტილებას თავის დროზე ვაუწყებთ მკითხველებს.

მართაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერობო გუბერნიების მოღვაწენი კარგა ხანია სწავლობენ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას; იციან იმისი ავი და კარგი, ჰხედავენ, რას საჭიროებს იგი და რას არა. თუმცა მთავრობამ ამ მოლაპარაკების საქმეში ზურგი აუქცია საერობო დაწესებულებებს, მაგრამ განზე ვერ დასტოვებდა საერობო მოღვაწეთ და ერობის მიერ შეკრებილ მასალას. ესეც არ იყოს, კომიტეტების თავმჯდომარეებმა მიიწვიეს თითქმის ყველა ხმოსანნი სამაზრო ერობებისა. აშკარაა, ამის შემდეგ, რომ ეს მოღვაწენი თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გამოიყენებდნენ მოლაპარაკების დროს და საქმეს ფართოდ შეხედავდნენ. აი, ამ გვარ მომზადებასა და ცოდნას მოკლებულნი არიან იმ გუბერნიების კომიტეტთა წევრნი, სადაც ერობა არ არსებობს.

ჩვენის აზრით, ამ საქმეში მარტო მოუმზადებლობა არ არის დამნაშავე. შეიძლება იმ გუბერნიების კომიტეტებს, სადაც ერობა არაა, ნება არა აქვთ პროგრამას გასცდნენ და საქმეს ფარდოდ შეეხნენ.

⁂

„იუჟნი კურ.“-ში დაიბეჭდა საყურადღებო წერილები ამ სათაურით: „მასწავლებლის დღიურიდან“. აი, სხვათა შორის, თავის დღიურში მასწავლებელს რა ჩაუწერია:

10 მაისი 1899 წ. მეორე დღეა პური არა გვაქვს. ცოტა არ იყოს, კომიკურ მდგომარეობაში ჩავცვივდით: დუქნიდან განსაკუთრებულ წიგნაკით ყოველ გვარ სანოვაგის წამოღება შეგვიძლიან ნისიად, მხოლოდ პური უნდა ვიყიდოთ ნაღდ ფულზე. ფული არა გვაქვს, ამიტომ ხშირად უპუროდა ვართ ხოლმე. უკანასკნელი ოთხი კაპეიკი სამის დღის წინად დავხარჯე: ვიყიდე ორი გირვანქა პური. გუშინ და დღეს იმ ნატეხებს შევექცევით, რომელიც ჩემმა ცოლმა შეინახა. ეს არის ეხლა, სადილის დროს, ამნაირი სცენა მოხდა: ვიტიამ (ჩემმა შვილმა) პური მოითხოვა. ცოლმა ხმა არ გასცა. პატარა ხანს უკან ბავშვმა ტირილი გააბა, რომელსაც მალე ცოლმაც მისცა ბანი. მე არ ვიცოდი, მეტირნა თუ მეცინა.

ამ ამბავში ვიყავით, როდესაც ნამცეცები, რომლითაც შიმშილს ვიკლავდი, ყელზე დამადგა. შეშინებულმა ცოლმა კისერში ცემა დამიწყო. ვიტიას უთუოდ ძალიან მოეწონა ეს საქმე, ტირილს თავი მიანება, ჯერ გაიცინა და შემდეგ თავის პაწაწა ხელებით დედასავით დამიწყო კისერში ცემა. ამ სცენამ გაგვამხიარულა, უპირობა დაგვავიწყა.

ასეთ გაჭირვებაში ყოფილა მასწავლებელი. ბოლოს გადაუწყვეტია, ნისიად სანოვაგეს გამოვართმევ დუქანში, გავყიდი, აღებულ ფულით პურს ვიყიდიო, მაგრამ ვერ მოუხერხებია, სირცხვილია, რას იტყვიანო.

წინად —სწერს შემდეგ მასწავლებელი,— წიგნების კითხვა გვიყვარდა მე და ჩემს ცოლს; ვიწერდით გაზეთებს, ვყიდულობდით წიგნებს და ვკითხულობდით; ეხლა ერთსაც და მეორესაც მოკლებულნი ვართ: სადა გვაქვს იმდენი ფული, რომ წიგნები ვიყიდოთ და გაზეთები გამოვიწეროთ?

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 სექტემბერი

კურსკი. დღეს კურსკისათვის მეტად სასიხარულო დღე დადგა—დღე ხელმწიფე იმპერატორის ამ ქალაქში პირველად მობრძანებისა. ქალაქი ისე მორთო, ვერ იცნობთ: უმთავრესი ქუჩები გამშვენიერებულია ყვავილებითა და მრავალის ბაირაღებით. რიშკოვოდან კურსკამდე მიმავალ გზაზე, მოსკოვსკი პოლკის ყაზარმებთან, ორი მაღალი კოშკია აგებული, ზემოდან ოქროს არწივებით მოკაზმული.

ხერსონსკი სატრიუმფო კარები შესანიშნავად მორთულია, აგრეთვე მთავრობისა და კერძო კაცთა სხვა-და-სხვა შენობები. ქუჩები ჯერ კიდევ დილით ძალიან ადრე აივსო ხალხით; თუმცა პოლიციელთა რიცხვი ცოტა იყო, მაგრამ წესიერება ყველგან სამაგალითოდ დაცული იყო; ყველა იმის მოლოდინშია, რომ თავისი ხელმწიფე იხილოს.

კურსკი. ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე, დიდი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და მიხეილ ნიკოლოზის ძე დღეს ცხენებით რიშკოვოდან კურსკს მობრძანდნენ. ვლეხთა აუარებელი რიცხვი აღტაცებით უხვდებოდა გზაზედ ხელმწიფე იმპერატორსა და მემკვიდრეს. მეთერთმეტე საათს ხელმწიფე კურსკს მობრძანდა და ხერსონსკის კარებთან გაჩერდა. აქ ხელმწიფეს მიეგებნენ ქალაქის მოურავი ნოვოსილცევი და ქალაქის საბჭო. მოურავმა პურ-მარილი მიართვა. ხელმწიფემ ქალაქის დეპუტაციას მადლობა გადაუხადა და მერე ხერსონსკის ქუჩითა და კრასნი მოედნით ზნამენსკის მონასტერში მივიდა. ეპისკოპოსი ლავრენტი მიესალმა ხელმწიფეს და ღვთის მშობლის ხატით აკურთხა.

კოვნო. „წითელი ჯვრის“ ქალთა კომიტეტმა დღეს საკუთარი ავთიაქი და მოსიარულე ავად-მყოფთა სავადმყოფო გახსნა.

კიევი. მდინარე დნეპრაზე დაიღუპა გემი „ემანუელ“, რომელიც რკინითა და ფქვილით იყო დატვირთული.

როსტოვი-დონზე. გუშინ ნახიჩევნის ქალაქის საბჭო შეიკრიბა განსაკუთრებით იმისათვის, რომ ქალთათვის საკომერციო კურსების დაარსების შესახებ ბჭობა ჰქონოდა.

— ციხიდან გამოსულთა დამხმარებელ საზოგადოების მიერ აგებული თავშესაფარი დღეს აკურთხეს და გახსნეს.

ნოვოჩერკასკი. დღეს გაიხსნა საბადოსნო გამოფენა, რომელიც დონის მხარეს ეს პირველი შემთხვევაა.

პეტერბურგი. ლეიბ გვარდიის დრაგუნთა პოლკი, რომელიც ამ ზაფხულამდე ნოვგოროდში იყო ბინად, გუშინ, 1-ლ სექტემბერს, ძველ პეტერჰოფს დაბინავდა, ახლად აგებულს ყაზარმებში.

შეცდომის გასწორება: გუშინდელს დეპეშაში აიაჩიოდან შეცდომით გადმოუციათ, რომ კორსიკა ჰერთებს საფრანგეთის სამფლობელოს ამერიკაში და მეტროპოლიას; უნდა იყოს აფრიკაში.

2 სექტემბერი

კურსკი. ქალაქის მოურავისაგან პურ მარილის მიღების შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორი ზნამენსკი მონასტერში წაბრძანდა; ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. კარებთან ხელმწიფეს მიეგებნენ ეპისკოპოსი და სამღვდელოება. ხელმწიფე ჯვარს ემთხვია, ეკლესიაში შებრძანდა და იქ წირვა და მოკლე პარაკლისი მოისმინა. პარაკლისის შემდეგ ეპისკოპოსმა ლავრენტიმ მიართვა ღვთის-მშობლის ორი ხატი და შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „თქვენო იმპერატორებით უდიდებულესობავ, უკეთილ-მსახურესო ხელმწიფევ! კურთხეულ არს უფალი, რომელმაც შთააგონა თქვენ უდიდებულესობას ამ მხარის ნახვა. დედა-მიწა ისე არ იხარის მზის ამოსვლითა, როგორც ვიხარით ჩვენ, რაც თქვენ უდიდებულესობას ჩვენ შორის გხედავთ. თქვენ ნახეთ ეს აუარებელი ხალხი, გესმათ იმათი აღტაცებული ხმები—ეს ხმები გულის სიღრმიდან ამოხეთქილია. ეს ხალხი შეიკრიბა არა მარტო ჩვენი ადგილების ყოველ კუთხიდან, არამედ გარშემო ადგილებიდანაც კი; დაუტოვებიათ თავიანთი სახლ-კარი, შვილებით, რომ თქვენო უდიდებულესობა ენახათ, მაგრამ თქვენის ხილვით ვერ გამძღარან: დაუბრუნდებიან თავის სახლ-კარს და დიდ-ხანს, ძალიან დიდ-ხანს თავის შვილებთან და შვილის-შვილებთან იმის ლაპარაკში იქმნებიან, როგორ იხილეს თავიანთი ხელმწიფე; გაგონილს გარდასცემენ შვილებს და შვილის-შვილებს, ეს ამბავი მთელ რუსეთს მოეფინება, მორჩილ შთამომავლობას გარდაეცემა და ამ გვარად შეითხზვება ხალხური გადმოცემა, რომელშიაც თქვენი უდიდებულესობის პიროვნება სულ უფრო და უფრო დიდებულების სახითა, სიწმინდითა და სიმშვენიერებით შეიმოსება. რუსის ხალხს უყვარს თავისი ხელმწიფე. ეს სიყვარული ჩვენ მიგვიღია ჩვენ წინაპართაგან, რომელნიც ლოცულობდნენ, როგორც ჩვენ ვლოცულობთ, ზნამენის ღვთის მშობლის წინაშე. ეს წმ. ხატი მზესავით ბრწყინავს თავისის სასწაულებითა. ათასი ხალხი მოელტვოდა და ეხლაც მოილტვის ამისაკენ და ლოცვითა მოიპოვის თავის მწუხარებისაგან განთავისუფლებას. ამ მოკლე ხანშიაც აქ გამოცხადდა სასწაული—ნანგრევთა შორის წმ. ხატი მბრწყინავი, მთელი და უვნებელი დარჩა. უკეთილ მსახურესო ხელმწიფევ! თავმდაბლად გევედრებით მიიღეთ ჩვენგან წმ. ხატი ზნამენის ღვთის მშობლისა ნიშნად ჩვენის განუწყვეტელის ლოცვისა, რომ ეს ღვთის მშობელი მფარველი იყოს თქვენო უდიდებულესობისა, უავგუსტოესის თქვენის სასლეულობისა და მთელის სამეფო ოჯახისა. კურთხეულ იყავით თქვენო უდიდებულესობავ იმ სიკეთისათვის, რომელსაც მთელ რუსეთს აძლევთ, იმ ზრუნვისათვის, რომელსაც წმ. ეკკლესიის სიკეთისათვის აცხადებთ, იმ მოწყალებისათვის, რომელიც სამღვდელოებას მიანიჭეთ, თქვენს საუკუნო მლოცველებს; იმისთვის, რომ თქვენ მოჰხოცეთ ცრემლი ჩვენ ქვრივ ობოლთა, ჩვენ მოხუცების დროს არ დაგვტოვეთ, ლონე არ მოგვაკელით—და იმ სიხარულისათვის, რომელიც ჩვენ ყველას მოგვანიჭეთ დღეს. ეს დღე მთელს ჩვენს სიცოცხლეში სიხარულის დღედ დარჩება.“

კურსკი. ეპისკოპოსმა ლავრენტიმ ხელმწიფეს მიართვა აგრეთვე დედოფლის ალექსანდრე თეოდორეს ასულისათვის მარგალიტებით შეკერილი ხატი ზნამენის ღვთის-მშობლისა. ზარების და ხალხის აღტაცების ხმები გაისმოდა, როცა ხელმწიფე კაზანსკის საკათედრო ეკკლესიაში წაბძანდა, სადაც პირველ საათს მიბრძანდა; აქ ჯვარს ემთხვია, წმ. წყალი ისხურა და მოკლე პარაკლისი მოისმინა. წინამძღვარმა სოფიომ ხელმწიფეს მიართვა მარგალიტებით შეკერილი ორი ხატი წმ. სამებისა. ხელმწიფე ხატებს ემთხვია, მადლობა გადაუხადა და „წითელი ჯვრის“ დათა სადგომში წაბრძანდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი – დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1) ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს.30 წ.(ს.28 წ·)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. . . წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ· (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ.(3 ს.48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

მზად არის და მზადდება **ჟურძნის საქაჩავები, საჭყლეტები**, გრეგუარები და იმის ნაწილები. ფასები ხელ-მისაწვდომია.

ლით. და სამეურ. იარაღის ქარხანათა საზოგადოება **ინჟ. გ. ზ. იარალოვისა და ამხ.**-სა ტფილისში, ყვირილის ქუჩაზე (სადგურის მახლობლად). (3—394—2)

წიგნის მაღაზია

გუტენბერგი

(ლორის მელიქოვის ქ. № 11)

იყიდება სახელმძღვანელოები და სხვა-და-სხვა წიგნები.

ვინც ბევრ წიგნს იყიდის ერთბაშად, პროცენტები დაეთმობათ. (3—2)

რესტორანი!

ონანოვის ქარვასლაში სიონის პირ-და პირ ქ. ტფილისში ახლად გასუფთავებული და ყოველივე მხრით გაუმჯობესებული. ფასები ყველაზე ზომიერია.

სადილი ორი „ბლუდით“ და ყავა

30 კაპ.

რესტორანის პატრონი **ზ. ი. შაფაქიძე**·

6—393—2

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში მიმდინარე წლის ენკენისთვის ოც რიცხვიდან დაიწყება მისაღები ეგზამენები პირველ და მოსამზადებელ კლასებში. ადგილობრივი სამეურნეო საზოგადოების თავისუფალი სტიპენდიები არის. თხოვნის მიღება გათავდება 19 ენკენისთვეს. თხოვნასთან უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან; ბ) ყვავილის და ჯანმრთელობის მოწმობა; გ) სიღარიბის მოწმობა, თუ სტიპენდიას თხოულობს; დ) წოდების მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, თუ მთხოვნელი თავადი ან აზნაურია.

სასწავლებელში ღებულობენ მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის მკვიდრ მცხოვრებლების შვილებს.

სასწავლებლის დრ. მმართველი

(2—1) **ნ. მკურნალი**

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ახალი წიგნი

შ. არაგვისპირელი

წიგნი მეორე

ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

ცინკოგრაფია

წიგნის. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

დიდი [illegible] მედალი

[illegible] 1901 წლის [illegible] გამოფენა

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია. ელვარული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა

ბათუმში.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელი:

ტფილისში **გ. მელიქსეტი**

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **ვ. ჭილაძე**

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)

(50—18)

[illegible] გამძლეობა და იაფობით სახურავი

[illegible]

Дозв. ценз. Тифлисъ, 2 Сентября, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).